



24 ნოემბერი, 2017

საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაძლო რეორგანიზაციის თაობაზე

2017 წლის 13 ნოემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრმა ბატონმა გიორგი კვიციანიამ გააკეთა ოფიციალური განცხადება საქართველოს მთავრობაში დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებების შესახებ. ამ განცხადების თანახმად საქართველოს მთავრობის მიერ სტრუქტურული ცვლილებები განხორციელება აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამ უკანასკნელის ოპტიმიზაციის მიზნით.

ამავე განცხადების მიხედვით, სხვა ცვლილებებთან ერთად, მოხდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შერწყმა და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული ფუნქციების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის გადაცემა.

მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით იქნება განხორციელებული ამგვარი შინაარსის ცვლილება, ფაქტობრივად მოხდება სახელმწიფო გარემოსდაცვითი მმართველობითი ფუნქციის აღსრულების შესაძლებლობათა მკვეთრი შეზღუდვა და შემდგომში შეუქცევადი შესუსტება, რაც, საბოლოო ჯამში, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ქვეყნის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეს ისევე, როგორც ამას ადგილი ქონდა 2011 წელს განხორციელებული თითქმის ანალოგიური სტრუქტურული ცვლილების დროს.

გარდა ამისა, სერიოზულად შეფერხდება ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებით გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება - რაც, თანამედროვე გარემოსდაცვითი სტანდარტების

დანერგვის საკითხებთან ერთად, ამავე სფეროში ფუნქციონალურად და სტრუქტურულად ერთიანი პასუხისმგებელი უწყების არსებობასაც მოიცავს.

აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, თავი შეიკავოს გარემოსდაცვით სფეროში აღნიშნული სახის მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური გადაწყვეტილების მიღებისაგან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, სამეცნიერო და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე.

ხელმოწერი ორგანიზაციები:

1. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები- საქართველო
2. საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
3. ასოციაცია "იმედი" დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
4. მეწარმე ქალთა ფონდი
5. სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო
6. საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი
7. ევროპის ფონდი
8. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
9. "გადავარჩინოთ მომავალი თაობა"
10. სათემო ფონდი "ადგილის დედა"
11. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"
12. ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისის
13. ადამიანის უფლებათა ცენტრი
14. ახალგაზრდული ალტერნატივა
15. რეპატრიანტთა კავშირი
16. ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
17. საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
18. ადამიანის ჰარმონიულ განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
19. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია ტოლერანტი
20. საზოგადოებრივი დამცველი
21. ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
22. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
23. ასოციაცია თანხმობა
24. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
25. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
26. თავისუფალი არჩევანი

27. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
28. კავშირი მდგრადი განვითარებასთვის „ეკოვიჯენ“
29. WECA საქართველო
30. კავკასიის მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების ქსელი
31. შავი ზღვის ეკოლოგთა კავშირი
32. ველზე მომუშავე მეცნიერთა კავშირი “კამპესტერი”
33. „სამოქალაქო მოძრაობა საბურთალოს პარკი“